



ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- საპენსიო შენატანების წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია, შედარების ფუნქციონალი და სქემაში მონაწილის სტატუსის გაუქმება

საპენსიო შენატანების წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია, შედარების ფუნქციონალი და სქემაში მონაწილის სტატუსის გაუქმება

2025 წლის 13 თებერვალს გამოქვეყნდა სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №019, რომლითაც ცვლილება შევიდა საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებით, საპენსიო სააგენტოს ელექტრონულ ბაზას დაემატა შედარების ფუნქციონალი, განისაზღვრა შედარების შედეგებზე დაყრდნობით წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება და საპენსიო სქემაში მონაწილის სტატუსის გაუქმება.

ცვლილების შედეგად, ახალი მე-11¹ მუხლის მიხედვით, დამსაქმებელი/დასაქმებული პირები შეძლებენ საპენსიო სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული ფუნქციონალის გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც პირს ექნება შესაძლებლობა შეადაროს საპენსიო სააგენტო ელექტრონული სისტემის მონაცემები შეუდარონ შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალის მონაცემებს. ასევე, პირს შეეძლება შესაბამის გრაფებში მიუთითოს კომენტარები შედარების შედეგებთან უთანხმოების შემთხვევაში.

ახალი მე-11² მუხლი განსაზღვრავს წლიურ მაკორექტირებელ დეკლარაციას. პირი უფლებამოსილია დააინიციროს და დახუროს წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია შედარების ფუნქციონალში მოცემული შედეგების მიხედვით, რისი მეშვეობითაც იდენტიფიცირდება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების ზედმეტობით ან/და არაჯეროვნად შესრულების ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელებული ფაქტის აღმოფხვრას ითვალისწინებს, დეკლარაციის დახურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში პირს ზედმეტობა (და არსებობის შემთხვევაში დარიცხული სარგებელი) დაუბრუნდება საბალანსო თანხით, ხოლო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ზედმეტობა (და სარგებელი) გადაირიცხება სახაზინო ანგარიშზე. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციის არაჯეროვანი შესრულების აღმოფხვრისთვის აუცილებელია ბარათზე შესაბამისი ოდენობის საბალანსო თანხის არსებობა.



ბრძანების შედეგად დამატებული მე-13² მუხლი განსაზღვრავს საპენსიო სქემაში მონაწილის სტატუსის გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის მიერ შეცდომით მოხდა პირის განწევრიანება საპენსიო სქემაში, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია, პირს დამსაქმებლის/მონაწილის მომართვის გარეშე გაუქმოს სქემაში მონაწილეობის სტატუსი. სტატუსის გაუქმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო ვალდებულია დამსაქმებლის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხოს ამავე მუხლის პირველ პუნქტში, პირის სახელზე განხორციელებული საპენსიო შენატანები და დარიცხული სარგებელი (არსებობის შემთხვევაში). სახელმწიფოს მიერ პირის სასარგებლოდ განხორციელებულ გადახდებს და სარგებელს (არსებობის შემთხვევაში), სააგენტო გადარიცხავს სახაზინო ანგარიშზე. სტატუსის გაუქმების და თანხის დაბრუნების შესახებ სააგენტო აცნობებს დამსაქმებელს და მონაწილეს, ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 14 თებერვლიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება საპენსიო შენატანების წლიურ მაკორექტირებელ დეკლარაციას, შედარების ფუნქციონალსა და სქემაში მონაწილის სტატუსის გაუქმებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების

გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ

ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის

ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.